სასაქონლო ნიშნების სპეციალიზაციის პატენტრწმუნებულთა 2025 წლის საკვალიფიკაციო გამოცდის დავალებების ნიმუშები

გამოცდის ფორმატი, სტრუქტურა და შეფასება

საკვალიფიკაციო გამოცდა ტარდება წერილობითი ფორმით 2 ეტაპად, ფიზიკურ ფორმატში.

საკვალიფიკაციო გამოცდის I ეტაპის მიზანია პატენტრწმუნებულის უფლებამოსილების განხორციელებისთვის აუცილებელი თეორიული ცოდნის შემოწმება/შეფასება. ხოლო, საკვალიფიკაციო გამოცდის II ეტაპის მიზანია პატენტრწმუნებულის უფლებამოსილების განხორციელებისთვის აუცილებელი პრაქტიკული უნარ-ჩვევების შემოწმება/შეფასება.

I ეტაპი – ტესტური გამოცდა

საკვალიფიკაციო გამოცდის I ეტაპი შედგება 50 ტესტური დავალებისაგან. თითოეული ტესტური დავალება შედგება პირობისა და 4 სავარაუდო პასუხისაგან, 1 სწორი პასუხით. **იხ. ქვემოთ წარმოდგენილი ტესტური დავალებების ნიმუშები.**

ხანგრძლივობა: 2 სთ.

საკვალიფიკაციო გამოცდის I ეტაპი ტარდება სპეციალური ელექტრონული პროგრამის მეშვეობით. ტესტური გამოცდის პასუხები გამოცდის დასრულებისთანავე ხდება ცნობილი გამოსაცდელისათვის

ტესტური დავალების თითოეული სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით, არასწორი პასუხი კი – 0 ქულით. თუ არც ერთი პასუხი არ არის მონიშნული, ტესტი ფასდება 0 ქულით.

ტესტური გამოცდის მინიმალური შეფასებაა 0 ქულა, ხოლო მაქსიმალური შეფასება – 50 ქულა.

ტესტური გამოცდა ჩაბარებულად ითვლება გამოსაცდელის მიერ 35 ან მეტი ქულის მიღების შემთხვევაში, რის შემდეგაც იგი უფლებამოსილია გავიდეს გამოცდის II ეტაპზე.

II ეტაპი – წერითი გამოცდა

საკვალიფიკაციო გამოცდის II ეტაპი შედგება 1 კაზუსის ტიპის წერითი დავალებისაგან 5 პირობით (კომპონენტით). **იხ. ქვემოთ წარმოდგენილი წერითი დავალების ნიმუში.**

ხანგრძლივობა: 3 სთ.

წერითი დავალება სრულდება პერსონალური კომპიუტერის გამოყენებით, ინტერნეტზე წვდომის გარეშე. საკვალიფიკაციო გამოცდის II ეტაპზე გამოსაცდელს შეუძლია გამოიყენოს ნორმატიული აქტები, რომელზე წვდომაც უზრუნველყოფილი იქნება საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს მეშვეობით.

წერითი დავალების მინიმალური შეფასებაა 0 ქულა, ხოლო მაქსიმალური – 50 ქულა. გამოსაცდელს წერითი დავალება ჩაბარებულად ჩაეთვლება, თუ მისი ნაშრომი შეფასდება 25 ან მეტი ქულით.

საკვალიფიკაციო გამოცდა ჩაბარებულად ითვლება გამოსაცდელის მიერ გამოცდის ორივე ეტაპისთვის განსაზღვრული მინიმალური ზღვრის გადალახვის შემთხვევაში.

საგამოცდო დავალებები შედგენილია „საქართველოს პატენტრწმუნებულთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების ფორმის, წესისა და საგამოცდო პროგრამის, საქართველოს პატენტრწმუნებულთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტის – სერტიფიკატის ფორმისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ თავმჯდომარის 2025 წლის 31 იანვრის №11 ბრძანებით დამტკიცებული დანართი №1-ით განსაზღვრული საგამოცდო პროგრამის შესაბამისად.

ტესტური დავალებების ნიმუშები

დავალება №1

განმცხადებელი წარადგენს როზეტის (შტეფსელის) მაერთებლის დიზაინს, რომელსაც აქვს ისეთი ფორმა და ზომა, რომ ზუსტად ერგება ბუდეს, რათა როზეტმა (შტეფსელმა) შეძლოს თავისი ფუნქციის შესრულება.

„დიზაინის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, **გავრცელდება, თუ არა მოცემულ დიზაინზე სამართლებრივი დაცვა?**

ა. დიახ, რადგან პროდუქტის ყველა კომპონენტზე შეიძლება გავრცელდეს დაცვა.

ბ. არა, რადგან დაცვა არ ვრცელდება მექანიკური შეერთებისთვის აუცილებელ მახასიათებლებზე.

გ. დიახ, თუ კონფიგურაცია ინოვაციურია.

დ. არა, რადგან დაცვა არცერთ შემთხვევაში არ ვრცელდება ისეთ მოწყობილობებზე, რომელთაც აქვთ ტექნიკური ფუნქცია, მიუხედავად იმისა, ფუნქციურობის გარდა აქვთ თუ არა მათ დეკორატიული მახასიათებლებიც.

დავალება №2

დიზაინი შეიცავს სიტყვიერ ელემენტებს. განმცხადებელს სურს მათი სამართლებრივი დაცვა.

შესაძლებელია თუ არა განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება „დიზაინის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად?

ა. დიახ, იმ შემთხვევაში, თუ სიტყვები სტილიზებული სახით არის წარმოდგენილი.

ბ. არა, რადგან დაცვა არ ვრცელდება სიტყვაზე ან სიტყვათა წყობაზე.

გ. დიახ, თუ სიტყვები რეგისტრირებულია სასაქონლო ნიშნებად.

დ. არა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ სიტყვები 3D ფორმის ნაწილი არ არის.

დავალება №3

„NutraPure“ არის დიეტური დანამატების სასერტიფიკაციო ნიშანი. სასერტიფიკაციო ნიშნის მფლობელმა დისტრიბუტორს გადასცა ნიშნის გამოყენების უფლება ისეთ საქონელზე, რომელიც არ აკმაყოფილებს სასერტიფიკაციო ნიშნის დებულებით განსაზღვრულ პირობებს.

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, **ჩამოთვლილთაგან რა სამართლებრივი შედეგი მოჰყვება აღნიშნულ შემთხვევას?**

ა. დისტრიბუტორს შესაძლოა დაეკისროს ჯარიმა.

ბ. საქპატენტი გამოსცემს გაფრთხილების შესახებ დადგენილებას.

გ. სასერტიფიკაციო ნიშნის რეგისტრაციას გააუქმებს სასამართლო.

დ. სერტიფიკატს ავტომატურად ამოეწურება მოქმედების ვადა.

დავალება №4

კომპანია ბოთლში ჩამოსხმული წყლისთვის ითხოვს სიტყვიერი სასაქონლო ნიშნის (სლოგანის) – „სიგრილე მთიდან“ (რომელიც სამოქალაქო ბრუნვაში ჯერ არ გამოყენებულა) რეგისტრაციას. სლოგანი პროდუქტის წარმოშობასა და მის თვისებებს ეხება.

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, **რა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს სასაქონლო ნიშნების მარეგისტრირებელმა ორგანომ?**

ა. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე მიღებულ უნდა იქნას დადებითი გადაწყვეტილება, როგორც განმასხვავებელუნარიან ნიშანზე.

ბ. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე მიღებულ უნდა იქნას უარყოფითი გადაწყვეტილება, ვიდრე ნიშანი არ შეიძენს განმასხვავებელუნარიანობას.

გ. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე მიღებულ უნდა იქნას დადებითი გადაწყვეტილება, რადგან სლოგანი ნებისმიერ შემთხვევაში რეგისტრირდება სასაქონლო ნიშნად.

დ. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე მიღებულ უნდა იქნას უარყოფითი გადაწყვეტილება, რადგან სამოქალაქო ბრუნვაში ჯერ არ გამოყენებულა.

დავალება №5

არსობრივი ექსპერტიზის შემდეგ საქპატენტმა მიიღო გადაწყვეტილება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ საქონლისა და მომსახურების განცხადებული სრული ჩამონათვალის მიმართ. განმცხადებელს აღნიშნული გადაწყვეტილება ოფიციალურად ჩაბარდა 10 ივნისს. განმცხადებელმა გადაწყვიტა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება საქპატენტთან არსებულ სააპელაციო პალატაში გაესაჩივრებინა 15 სექტემბერს.

„საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების“ დამტკიცების თაობაზე“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანების თანახმად, **უნდა მიიღოს თუ არა საქპატენტთან არსებულმა სააპელაციო პალატამ აღნიშნული სააპელაციო საჩივარი?**

ა. დიახ, თუ სააპელაციო საჩივრის განხილვისათვის დადგენილი საფასური გადახდილია.

ბ. არა, ვინაიდან გასაჩივრებისთვის კანონმდებლობით დადგენილი ვადა გასულია.

გ. დიახ, თუ განმცხადებელი განმარტავს სააპელაციო საჩივრის დაგვიანებით წარდგენის მიზეზს.

დ. არა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარი ეფუძნებოდა სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შედარებით საფუძვლებს.

წერითი დავალების ნიმუში

სცენარი: „KARTYVELA“ და „KARTVELINA“ – სასაქონლო ნიშნებს შორის მსგავსების დადგენის ძირითადი კრიტერიუმები, სასაქონლო ნიშნის გამოყენება, სასაქონლო ნიშნის გამოყენება მეტავერსში და სასაქონლო ნიშნის თანაარსებობა.

ქართული კომპანია სახელწოდებით შპს „Kartveli Naturals“ (შემდგომ – „Kartveli“), რომელიც ახორციელებს ორგანული კოსმეტიკური პროდუქტების წარმოებასა და რეალიზაციას, სასაქონლო ნიშანს „KARTYVELA“ იყენებს 2018 წლიდან. კომპანიამ „Kartveli“ 2020 წლის თებერვალში საქპატენტში შეიტანა ეროვნული განაცხადი სიტყვიერი სასაქონლო ნიშნის „KARTYVELA“ რეგისტრაციის მიზნით, საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო (ნიცის) კლასიფიკაციის მე-3 კლასის (კოსმეტიკა) საქონლის მიმართ. სასაქონლო ნიშანი დარეგისტრირდა 2020 წლის სექტემბერში.

2024 წლის მაისში ახალმა კონკურენტმა კომპანიამ, სახელწოდებით შპს „GeoBeauty“, დაიწყო ბუნებრივი სილამაზის პროდუქტების ახალი ხაზის მარკეტინგი, ბრენდის სახელწოდებით „KARTVELINA“. აღნიშნულ კომპანიას „Kartveli“-იმ გაუგზავნა ქმედების შეწყვეტის წერილი, რომელშიც უთითებდა სასაქონლო ნიშანზე მისი განსაკუთრებული უფლების დარღვევაზე, სასაქონლო ნიშნების აღრევის ალბათობასა და ბრენდის სახელის შელახვაზე. შპს „GeoBeauty“-იმ უარყო წერილში მითითებული დარღვევები და განაცხადა, რომ ტერმინს – „KARTVELINA“ აქვს საკმარისი განმასხვავებელუნარიანობა და მომდინარეობს საქართველოში გავრცელებული გეოგრაფიული და კულტურული სახელდებიდან.

საკითხის მშვიდობიანად მოსაგვარებლად შპს „GeoBeauty“ სთავაზობს კომპანიას „Kartveli“ სასაქონლო ნიშნების თანაარსებობაზე შეთანხმებას.

გარდა ამისა, შპს-მ „GeoBeauty“ გამოიყენა ფრაზა „Kartvela Glow“ თავის „ინსტაგრამის“ გვერდზე ინფლუენსერების მიერ პოპულარიზაციისთვის, ხოლო „Kartveli“ ამაზეც ამტკიცებს, რომ ეს წარმოადგენს მის რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანზე „KARTYVELA“ მისი განსაკუთრებული უფლების დარღვევას.

ცალკე, „Kartveli“-იმ 2024 წელს დაადგინა, რომ კომბინირებული სასაქონლო ნიშანი „KARTVELI BEAUTY“ (იხილეთ ქვემოთ) დარეგისტრირდა არააქტიური ქართული კომპანიის მიერ 2015 წელს, მაგრამ 2017 წლიდან ბაზარზე აღარ გამოიყენება.

„Kartveli“-იმ, ასევე, აღმოაჩინა, რომ ციფრულ პლატფორმაზე „VirtuaLife“ არსებული ავატარი სთავაზობს ვირტუალური სილამაზის პროდუქტებს სახელწოდებით „KARTYVELA“.

გთხოვთ, უპასუხოთ შეკითხვებს ზემოთ მოცემული სცენარის საფუძველზე. წარმოადგინეთ დასაბუთებული სამართლებრივი ანალიზი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპონენტი 1: კონსულტაციის გაწევა (წერილობითი პასუხის მომზადება) - სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლებების დარღვევის ანალიზი – 10 ქულა

კითხვები:

1. (10 ქულა)

არღვევს თუ არა შპს „GeoBeauty“ სასაქონლო ნიშნის „KARTVELINA“ გამოყენებით კომპანიის „Kartveli“ განსაკუთრებულ უფლებებს რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანზე „KARTYVELA“?

ყურადღება გაამახვილეთ სასაქონლო ნიშნებს შორის მსგავსების დადგენის ძირითად კრიტერიუმებზე, სასაქონლო ნიშნებსა და შეთავაზებულ საქონელს შორის მსგავსებებსა და განსხვავებებზე. იმსჯელეთ როგორც საქართველოს კანონმდებლობის, ასევე საერთაშორისო შეთანხმებების საფუძველზე.

კომპონენტი 2: კონსულტაციის გაწევა (წერილობითი პასუხის მომზადება) - სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმებისა და ბათილად ცნობის საქმისწარმოება – 10 ქულა

1. **(5 ქულა)**

რა სამართლებრივი პროცედურების განხორციელება შეუძლია კომპანიას „Kartveli“ გამოუყენებელი რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის „KARTVELI BEAUTY“ გაუქმების მიზნით? რა უნდა დაამტკიცოს „Kartveli“-იმ ამისთვის და რა სამართლებრივი სტანდარტები და ვადები მოქმედებს? იმსჯელეთ საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე.

2. (5 ქულა)

გთხოვთ, შეადგინოთ სასაქონლო ნიშნის „KARTVELI BEAUTY“ ბათილად ცნობის შესახებ სააპელაციო საჩივარი და მიუთითოთ შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი.

კომპონენტი 3: კონსულტაციის გაწევა (წერილობითი პასუხის მომზადება) – სასაქონლო ნიშნის კეთილსინდისიერი გამოყენება – 10 ქულა

1. (10 ქულა)

შეაფასეთ, წარმოადგენს თუ არა „GeoBeauty“-ის მიერ ინსტაგრამზე ფრაზით „Kartvela Glow“ სარგებლობა კეთილსინდისიერ გამოყენებას. ნიშნის კეთილსინდისიერად გამოყენების რა სამართლებრივი შეზღუდვები არსებობს?

იმსჯელეთ როგორც საქართველოს კანონმდებლობის, ასევე საერთაშორისო შეთანხმებების საფუძველზე.

კომპონენტი 4: კონსულტაციის გაწევა (წერილობითი პასუხის მომზადება) – სასაქონლო ნიშნის გამოყენება მეტავერსში – 5 ქულა

1. (5 ქულა)

განიხილეთ ვირტუალური საქონლისთვის სახელის „KARTYVELA“ გამოყენება მეტავერსის პლატფორმაზე „VirtuaLife“.

წარმოადგენს, თუ არა ეს სასაქონლო ნიშნის გამოყენების დარღვევას საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო შეთანხმებების შესაბამისად და როგორ განმარტავს საქართველოს კანონმდებლობა სასაქონლო ნიშნის გამოყენებას მეტავერსში?

კომპონენტი 5: სხვა ქმედება – სასაქონლო ნიშნის თანაარსებობა - 15 ქულა

1. (5 ქულა)

შეაფასეთ, არის თუ არა „Kartveli“-ისა და „GeoBeauty“-ის შორის სასაქონლო ნიშნების თანაარსებობის შეთანხმება სამართლებრივად დასაშვები და აღსრულებადი. რა ფაქტორები უნდა იქნეს გათვალისწინებული ასეთი შეთანხმების ნამდვილობის უზრუნველსაყოფად.

იმსჯელეთ საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე.

2. (10 ქულა)

შეადგინეთ თანაარსებობის სამართლებრივი დოკუმენტი „Kartveli“-ისა და შპს „GeoBeauty“-ის შორის, რომელიც აღსრულდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.